

ოქმი N3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული
საზოგადოებრივი დარბაზის სხდომის.

2019 წელი, 20 ნოემბერი
14.00-15.00 საათი
ქ.ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: საზოგადოებრივი დარბაზის წევრები: ლ. ხინთიბიძე, ი.პაპავა, ო.რევიშვილი, თ.ღლონტი, კ.ცერცვაძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-გ.ღურჯუმელიძე.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ დარბაზის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრების გამარტივებული ინოვაციური მოდელის თაობაზე“ არასამთავრობო ორგანიზაცია „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ერთობლივი პროექტის შესახებ

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ო.რევიშვილი

საკითხის განხილვის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საზოგადოებრივი დარბაზის წევრებს და მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის პრობლემატური საკითხების გადაჭრის გზების ძიებაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და მერიასთან აქტიური თანამშრომლობისათვის. შემდეგ პროექტის პრეზენტაციისათვის სიტყვა გადასცა ოთარ რევიშვილს, რომელმაც განაცხადა, რომ თანამოაზრეებთან ერთად გადაწყვიტეს შეიმუშაონ და მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ მხარდაჭერის შემდეგ მუნიციპალიტეტის სამ

ადმინისტრაციულ ერთეულში ქ.ოზურგეთში, დაბებში ნასაკირალსა და ნარუჯაში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, სამიზნედ -საქართველოს ორგანული კანონის- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნათა დაურღვევლად დააფუძნონ დასახლების საერთო კრების ინოვაციური, გამარტივებული მოდელი, რომელიც რეალურად აამოქმედებს მუნიციპალიტეტის მართვაში მოქალაქეთა ჩართულობის მიზნით კანონით გათვალისწინებულ ამ ინსტიტუტს. პროექტს დააფინანსებს ევროპული ფონდი.

დარბაზის წევრებმა დასვეს შეკითხვები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის თაობაზე.

საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა მხარი დაუჭირეს პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებთან ერთად მოდელის პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა.

გადაწყვიტეს:

1. მხარდაჭერილ იქნას არასმთავრობო ორგანიზაციის „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის“ ერთობლივი პროექტი.
2. მიზანშეწონილად იქნას მიიჩნეული საკრებულოსა და მერიის თანამდებობის პირებთან ერთად მოდელის პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

